კვლევა–თანამშრომლობა–დაცვა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ნორვეგიის ოსლოს უნივერსიტეტსა და საქართველოს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველო (შემდგომში მოხსენიებული როგორც **დკსჯეც**–ი) და ოსლოს უნივერსიტეტი, ნორვეგია (შემდგომში მოხსენიებული როგორც **ნოუ**) ვაცხადებთ, ნაყოფიერი აკადემიური პარტნიორობის განვითარებისათვის საერთო მიზნების გაზიარებით ბიოლოგიური კვლევის, ბიოლოგიური უსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის სფეროში, აგრეთვე საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემის შექმით, რომელიც ემყარება საერთაშორისო საუკეთესო სტანდარტებს საქართველოს და რეგიონის სასარგებლოდ, რომ ვთანხმდებით შემდეგზე:

ა. **დკსჯეც და ნოუ** (შემდგომში მოხსენიებულნი როგორც **მხარეები)** დებენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, კოორდინაციის ერთობლივი ძალისხმევის მართვის მიზნით ბიოლოგიური კვლევისა და განათლების საქმეში. ძირითადი ბიოლოგიური კვლევები, საგანმანათლებლო და სასწავლო აქტივობები განხორციელდება რიჩარდ ლუგარის სახ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრში, რომელიც წარმოადგენს დკსჯეც–ის ნაწილს. მემორანდუმი წარმოადგენს ურთიერთთანამშრომლობის ზოგად დებულებას და ფორმატს, და კონკრეტული სქემები და შეთანხმებები ჩამოყალიბდება ინდივიდუალური პროექტის ფარგლებში.

ბ. **მხარეები** გამოხატავენ ნდობას მათი ერთობლივი ინტერესების გატარებისას, რათა მოამზადონ და შეიმუშაონ კვლევითი პროექტები და სასწავლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთის მხრივ, **ნოუ**–ს კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებას და მეორეს მხრივ, განახორციელებს სამეცნიერო, კვლევითი და სასწავლო მისიას**დკსჯეც**–ისთვის. მხარეები თანხმდებიან, რომ მობილიზაცია გაუკეთონ თავიანთ

ინტელექტუალურ, ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს ერთობლივი პროექტების შემუშავების და დამფინანსებელ ორგანიზაციებსა და სააგენტოებში წარდგენის მიზნით.

გ. მხარეები შეიმუშავებენ ერთობლივ აქტივობებს წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მათი განხორციელების გრაფიკს და დანიშნავენ პასუხისმგებელ პირს. მხარეები თანაბრად წარმოაყენებენ პერსონალს ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების გასატარებლად.

დ.მხარეები გამოიყენებენ პარტნიორების ინტელექტუალურ რესურსებს/ აკადემიურ პერსონალს კურიკულუმების შესამუშავებლად, სატრეინინგო მასალების მოსამზადებლად, აკადემიური განხილვისთვის, ინსტიტუციური ზედამხედველობისთვის (დაწესებულების ბიოუსაფრთხოების საბჭო, სხვა) და სხვა აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მხარეების ინსტიტუციურ განვითარებას.

ე. მხარეები შეიმუშავებენ შეთანხმება(ებ)ს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხრივ, რომელიც ემყარება ინდივიდუალური პროექტის სპეციფიკას და კომპეტენციას. **ნოუ**–ს და **დკსჯეც**–ს შორის არსებული სამეცნიერო თანამშრომლობის შედეგად, მომზადდება ერთობლივი პუბლიკაციები; ასევე ყველა პრეზენტაციაში, პუბლიკაციასა თუ მოპოვებულ/მიღებულ მასალაში (რაც შეიცავს, და არ შემოიფარგლება, სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით, ტექნიკური რეკომენდაციებით, სასწავლო გეგმებით, ვებ გვერდით და სილაბუსებით) მონაწილე მხარეების მოხსენიება არის აუცილებელი პუნქტი.

ვ.დკსჯეც–ი გამოხატავს მზადყოფნას მხარეებისათვის თავისი ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, რათა განხორციელდეს ერთობლივი აქტივობები შეთანხმებული ერთობლივი მოქმედების ფარგლებში. უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შენარჩუნების მიზნით **დკსჯეც**–ი ხელმძღვანელობა იტოვებს უფლებას, არანაირი დამატებითი განმარტებების გარეშე:

- შეზღუდოს ან გააუქმოს დაშვება ლაბორატორიებში მეორე მხარის წარმომადგენელი ნებისმიერი პირისთვის;
- უარი თქვას, შეწყვიტოს ან შეზღუდოს დაგეგმილი ან უკვე დაწყებული ქმედებები (პროექტი ან პროექტის შემადგენელი ელემენტი);
- მოითხოვოს მკაცრი ზედამხედველობა დკსჯეც–ის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ, შიდა რეგულაციები) შესრულებაზე;
- შექმნას/დაამკვიდროს პროექტის სპეციფიკური სოპ–ები, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იქნება.

აღნიშნული დადგენილებების ან სოპ–ების უზრუნველყოფის ნებისმიერი სახის დარღვევა გახდება პროექტის ან პროექტის ელემენტის რევიზიის ან შეწყვეტის მიზეზი; დარღვევების ჩამდენი პირ(ებ)ი ვეღარ მიიღებენ ლაბორატორიაში დაშვებას.

ზ.მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერისთანავე.

თ. მემორანდუმი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ენაზე შესრულებული ეგზემპლარები ითვლება ორიგინალად (დედნად), თუმცა რაიმე სახის ბუნდოვანების ან გაურკვევლობის შემთხვევაში, ინგლისურ ვერსიას იურიდიული ძალის უპირატესობა ენიჭება.

თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმომწერ **მხარეებს** წარმოადგენენ:

ამირან გამყრელიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
დაავადებათა კონტროლის და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის გენერალური
დირექტორი
მ.ასათიანის ქ. #9, თბილისი
0177, საქართველო
ტელ: (+995) 2311754
ელ.ფოსტა: a.gamkrelidze@ncdc.ge
ვებ–გვერდი: www.ncdc.ge

ოლე პეტერ ოტერსენი
MD,Ph.D., პროფესორი
ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი
უნივერსიტეტის დირექტორის ოფისი
1072, ბლინდერნი, N–0316,
ოსლო, ნორვეგია

პაატა იმნაძე
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი
დაავადებათა კონტროლის და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის სამეცნიერო
საბჭოს ხელმძღვანელი
ტელ: (+995) 2311754
ელ.ფოსტა: pimnadze@ncdc.ge

ნილს კრისტიან სტენსეტი
Ph.D., პროფესორი,
ეკოლოგიისა და ევოლუციური სინთეზის
ცენტრის თავმჯდომარე
1066, ბლინდერნი,
N–0316, ოსლო, ნორვეგია
ტელ: (+47) 22854584 / 22854400
ელ–ფოსტა:n.c.stenseth@ibv.uio.no

თარიღი: 03 / 07 / 2013